დამტკიცებულია "საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციის"
დამფუძნებელ და გამგეობის წევრთა კრების მიერ
30 ოქტომბერი, 2008წ. ოქმი №1

"საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაცია"

წესდება

მუხლი 1
ზოგადი დებულებანი

1.1 საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაცია, (შემდგომში - "ასოციაცია") წარმოადგენს არაკომერციულ იურიდიულ პირს.
1.2 ასოციაციას უფლება აქვს თავისი სახელით დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, შეუძლია იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოებში.
1.3 ასოციაციას შეუძლია დაიცვას და წარმოადგინოს თავისი წევრების კანონიერი ინტერესები სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.
1.4 ასოციაცია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.
1.5 ასოციაციას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შეუძლია გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები, მათ შორის უცხოური ვალუტით. მას აქვს ბეჭედი თავისი დასახელებით, შტამპები, ბლანკები, და სხვა ატრიბუტები.
1.6 ასოციაცია თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
1.7 ასოციაცია იურიდიული პირის უფლებებსა და მოვალეობებს იძენს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის მომენტიდან.
1.8 ასოციაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, 0171, ჭიათურის ქ. №17.
1.9 ასოციაცია იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2
ასოციაციის სრული და შემოკლებული სახელწოდება

2.1 ქართულად: **„საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაცია”**
სფა; /შემოკლებით/
ლათინური ტრანსკრიფციით:
"Association of Photographers of Georgia";
APG; /აბრევიატურა/

მუხლი 3
ასოციაციის მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

3.1 ასოციაციის მიზანია საქართველოში პროფესიონალური და სამოყვარულო ფოტოგრაფიის სფეროს განვითარების ხელშეწყობა, ფოტოგრაფიის, როგორც

ხელოვნების დარგის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და მისი პრაქტიკული განხორციელება.
3.2 ასოციაციის ამოცანებია:
3.2.1 ფოტოგრაფიის, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი დარგის, საქართველოში არსებული მდგომარეობის შესწავლა, მიმდინარე პროცესებისა და ტენდენციების მეთოდური კვლევა, მეთოდოლოგიის შემუშვება, ინოვაციური სტრატეგიების შემუშავება და იმპლემენტაცია;
3.2.2 ფოტოგრაფიის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება;
3.2.3 მოზარდ-ახალგაზრდობაში ფოტოგრაფიის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;
3.2.4 ფოტომოყვარულთათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ბაზის ჩამოყალიბება;
3.2.5 ფოტომოყვარულთა დახელოვნებისთვის სპეციალური ინტერნეტპორტალების შექმნა, ვირტუალური გალერეების საშუალებით მათი ნამუშევრებისთვის საზოგადოებისთვის გაცნობა, უცხოელ კოლეგებთან შემოქმედებითი კავშირების უზრუნველყოფა და საქმიანი კონტაქტების ჩამოყალიბება;
3.2.6 ფოტომოყვარულთათვის საერთაშორისო ფოტოკონკურსებში მონაწილეობის მიღების მიზნით საინფორმაციო ბაზის ჩამოყალიბება;
3.2.7 ქართული ფოტოხელოვნების სხვადასხვა უცხოურ შემოქმედებით კავშირებში ინტეგრაცია;
3.2.8 საქართველოში მოქმედი ფოტოსერვის-ცენტრების ბაზრის შესწავლა, მომსახურების სფეროების დახვეწისთვის ხელშეწყობა და რეკომენდაციების გაცემა;
3.2.9 ფოტოხელოვნებასთან დაკავშირებული პერიოდიკის გამოცემა;
3.2.10 კონკურსების, გამოფენების, ფესტივალების ორგანიზება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ;
3.2.11 ავტორთა საავტორო უფლებების დაცვის არსებული მდგომარეობის შესწავლა აღნიშნულ სფეროში და რეკომენდაციების გაწევა;
3.2.12 აღნიშნულ სფეროში მოქმედი ინტერნეტპორტალების არსებული ბაზის შესწავლა, მათ შორის, მათ მიერ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მდგომარეობის ანლიზი და რეკომენდაციების გაწევა;
3.2.13 აღნიშნულ სფეროში მოქმედი კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების კოორდინაციების ხელშეწყობა;
3.2.14 ფოტოხელოვანთა შემოქმედებით პროცესში მათი უფლებების შელახვის წინააღმდეგ პრევენციული და ინფორმაციული ღონისძიებების კომპლექსური შემუშავება და გატარება;
3.2.15 ასოციაციის ეთიკის კოდექსის შემუშავება და მის შესრულებაზე ზედამხედველობა.

მუხლი 4
ასოციაციის წევრები და მათი უფლება-მოვალეობები

4.1 ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს: საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, იურიდიული პირი და აგრეთვე, კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ წარმოდგენს იურიდიულ პირს და იზიარებენ და ეთანხმებიან ასოციაციის მიზნებსა და ამოცანებს.

4.2 ასოციაციის წევრი აგრეთვე შეიძლება იყოს არასრულწლოვანი ფიზიკური პირი, რომელსაც საზოგადოებასთან ურთიერთობაში წარმოადგენს მისი კანონიერი წარმომადგენელი.
4.3 ასოციაციის წევრობის მსურველი წერილობითი განცხადებით მიმართავს ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარეს. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ასოციაციის 3 წევრის რეკომენდაცია.
4.4 ასოციაციის წევრობის მსურველზე სრულად ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები.
4.5 ასოციაციის გამგეობა წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შემოსვლიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.
4.6 ასოციაციის წევრობაზე უარის თქმის საფუძველია:
4.6.1 პლაგიატი;
4.6.2 სხვისი ფოტონამუშევრების მითვისება;
4.6.3 პუნქტში მოყვანილი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა.
4.7 4.6 პუნქტში აღნიშნული მოთხოვნები ვრცელდება ბეჭდვით და ელექტრონულ გამომცემლობებზე.
4.8 ასოციაციის წევრს უფლება აქვს:
4.8.1 მონაწილეობდეს ასოციაციის წევრთა საერთო კრების მუშაობაში;
4.8.2 აირჩიოს და არჩეულ იქნეს ასოციაციის ხელმძღვანელ და წარმომადგენლობით ორგანოებში, აგრეთვე არჩეულ იქნეს ასოციაციაში არსებულ ნებისმიერ თანამდებობაზე გარდა 4.2 პუნტში მითითებული პირებისა;
4.8.3 გამგეობის წინაშე გამოვიდეს ასოციაციის მიზნებთან შესაბამისი საინიციატივო წინადადებით;
4.8.4 პირველივე მოთხოვნისამებრ მიიღოს სრული ინფორმაცია ასოციაციის საქმიანობის შესახებ, გაეცნოს ასოციაციის წიგნებსა და ჩანაწერებს.
4.9 ასოციაციის წევრი ვალდებულია:
4.9.1 დაიცვას ასოციაციის წესდების მოთხოვნები;
4.9.2 დაიცვას ასოციაციის ეთიკის კოდექსი;
4.9.3 გაუფრთხილდეს ასოციაციის ღირსებასა და ავტორიტეტს;
4.9.4 ყოველთვიურად გადაიხადოს საწევრო შენატანი ასოციაციის გამგეობის მიერ დადგენილი ოდენობით;
4.9.5 გაუფრთხილდეს ასოციაციის ბალანსზე მყოფ ქონებას.
4.10 ასოციაციის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება:
4.10.1 პირადი განცხადების საფუძველზე;საწევრო შენატანის ზედიზედ ორი თვის გადაუხდელობისას;
4.10.2 სასამართლოს მიერ, მისი ქმედუუნაროდ ცნობისას, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან;
4.10.3 გარდაცვალებისას;
4.10.4 თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის ეთიკის კოდექსსა და მიზნებს;
4.10.5 წინამდებარე წესდებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისას.
4.11 ასოციაციის წევრს უფლებამოსილება შეუჩერდება:
4.11.1 საწევრო შენატანის გადაუხდელობისას;
4.11.2 წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის განხილვის პერიოდში.

მუხლი 5
ასოციაციის საპატიო წევრი

5.1 ასოციაციის წევრთა საერთო კრების უბრალო უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ფიზიკურ პირს, შესაძლებელია მიენიჭოს ასოციაციის საპატიო წევრის წოდება. ამასთან აუცილებელია წარმოდგენილ იყოს ასოციაციის საპატიო წევრის კანდიდატის წერილობითი თანხმობა, ამ წოდების მისთვის მინიჭების შესახებ.
5.2 საპატიო წევრს სტატუსი მიენიჭება ფოტოხელოვნების სფეროს განვითარების, განსაკუთრებული წვლილის შეტანისა და დამსახურებისთვის.
5.3 ასოციაციის საპატიო წევრს გააჩნია ასოციაციის წევრისათვის მინიჭებული ყველა უფლება-მოვალეობა გარდა წინამდებარე წესდებით დადგენილი საწევრო შენატანის გადახდის ვალდებულებისა.
5.4 ასოციაციის საპატიო წევრის წოდების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ასოციაციის წევრთა საერთო კრების სრული შემადგენლობის ხმათა ორი მესამედით.
5.5 ასოციაციის საპატიო წევრს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი თქვას ზემოხსენებულ წოდებაზე. ამისათვის საკმარისია მისი წერილობითი განცხადება ასოციაციის საერთო კრების სახელზე.
5.6 წინამდებარე წესდების 5.5. მუხლში ხსენებულ განცხადების მიღების თაობაზე უარის თქმა დაუშვებელია.

მუხლი 6
ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურა
წევრთა საერთო კრება

6.1 ასოციაციის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს ასოციაციის წევრთა საერთო კრება.
6.2 ასოციაციის წევრთა საერთო კრებას იწვევს ასოციაციის გამგეობა სულ მცირე წელიწადში ერთხელ, ან ნებისმიერ დროს, როდესაც ამას ასოციაციის ინტერესები მოითხოვს. საერთო კრება აგრეთვე შეიძლება მოწვეულ იქნეს წევრთა მეოთხედის წერილობითი მოთხოვნით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს კრების დღის წესრიგი.
6.3 გამგეობა ვალდებულია კრების მოწვევის შესახებ ასოციაციის ყველა წევრს აცნობოს წერილობით კრებამდე ერთი კვირით ადრე მაინც.
6.4 საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ასოციაციის წევრთა არანაკლებ ორი მესამედისა. კრება ყველა გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით.
6.5 საერთო კრებაზე წევრთა საერთო რაოდენობის 2/3-ზე ნაკლების გამოცხადებისას, არაუგვიანეს სამი დღისა, საერთო კრება მოიწვევა განმეორებით. ამ შემთხვევაში დამსწრე წევრები უფლებამოსილნი არიან, საკითხი გადაწყვიტონ ხმათა რაოდენობის 2/3-ით. ეს წესი ვრცელდება 6.14 პუნქტში განსაზღვრულ პროცედურაზეც.
6.6 ასოციაციის წევრთა საერთო კრება:
6.6.1 განსაზღვრავს ასოციაციის მიზნებს;
6.6.2 ამტკიცებს ასოციაციის წესდებას და მასში ცვლილებების შეტანას;
6.6.3 განსაზღვრავს გამგეობის წევრთა რაოდენობას;
6.6.4 უფლებამოსილია, ვადამდე შეუწყვიტოს გამგეობის წევრებს უფლებამოსილება ასოციაციის ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტის დადასტურების, წინამდებარე წესდებით დადგენილი მოთხოვნების უხეში

დარღვევის, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში;
6.6.5 ამტკიცებს გამგეობის მიერ შექმნილ მიზნობრივ ჯგუფს;
6.6.6 ისმენს გამგეობის მიერ ჩატარებული სამუშაოს ანგარიშს;
6.6.7 გამგეობის წარდგინებით უფლებამოსილებას უწყვეტს ან უჩერებს ასოციაციის წევრს.
6.7 საერთო კრება ასევე წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით სხვა ორგანოთა უფლებამოსილებებს არ განეკუთვნება.
6.8 წინამდებარე წესდების 6.6 პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილებები მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.
6.9 იმ წევრებს, რომლებიც არ ესწრებიან კრებას, შეუძლიათ წერილობით მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში. ისინი უთანაბრდებიან კრებაზე დამსწრე წევრებს.
6.10 ასოციაციის წევრთა საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დგება ოქმი, რომელზედაც აუცილებელია კრების თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერა.
6.11 ასოციაციის წევრთა საერთო კრებას თავმჯდომარეობს ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საერთო კრებამ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს გამგეობის წევრის (წევრების) უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი. ამ შემთხვევაში საერთო კრების თავმჯდომარე აირჩევა ასოციაციის წევრთა რიგებიდან საერთო კრების მიერ, იმის გათვალისწინებით, რომ კრების თავმჯდომარეობის კანდიდატი არ შეიძლება იყოს გამგეობის წევრი. წევრთა საერთო კრების მდივანი ინიშნება წევრთა რიგებიდან გამგეობის და წევრთა საერთო კრების შეთანხმებით. მდივანი ინიშნება კრების მიმდინარეობის შესახებ სათანადო დოკუმენტაციის შესადგენად.

გამგეობა

6.12 ასოციაციის წევრთა საერთო კრებებს შორის პერიოდში ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოა გამგეობა, რომელიც შედგება 5 წევრისაგან და აირჩევა 6 წლის ვადით.
6.13 გამგეობა არის ასოციაციის უმაღლესი მმართველობის ორგანო, რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ ასოციაციის წევრთა საერთო კრების წინაშე.
6.14 გამგეობის წევრთა რაოდენობის შემცირების შემთხვევაში ასოციაციის წევრთა საერთო კრება მოიწვევა გამგეობის თავმჯდომარის მიერ არაუგვიანეს 7 დღისა. გამგეობის წევრობის კანდიდატი შეიძლება წარდგენილ იქნას საერთო კრების წევრთა რაოდენობის 1/3-ის მიერ. გამგეობის წევრობის კანდიდატი აირჩევა საერთო კრების წევრთა რაოდენობის 2/3-ის მიერ. ამ შემთხვევაში სრულად ვრცელდება 6.5 პუნქტით დადგენილი წესი.
6.15 ასოციაციის გამგეობა:
6.15.1 შეიმუშავებს და ამტკიცებს ასოციაციის განვითარების (მოკლე და გრძელვადიან) სტრატეგიულ გეგმას;
6.15.2 შეიმუშავებს და ამტკიცებს ასოციაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას და მის ეთიკის კოდექსს;
6.15.3 განსაზღვრავს და ამტკიცებს ასოციაციის საშტატო სტრუქტურას და ფუნქციებს;

6.15.4 იღებს გადაწყვეტილებებს ასოციაციის ფილიალებისა და წარმომადგენლობების შექმნის შესახებ, აგრეთვე ამტკიცებს მათ დებულებებს. გამგეობის თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს;
6.15.5 აფუძნებს ასოციაციის საწარმოებს, და გამგეობის თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს;
6.15.6 გამგეობის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს ასოციაციის სამოქმედო გეგმებსა და ანგარიშებს;
6.15.7 გამგეობის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს ასოციაციის შრომით პოლიტიკას;
6.15.8 ისმენს და ამტკიცებს გამგეობის თავმჯდომარის ფინანსურ და პროგრამულ ანგარიშს;
6.15.9 ამტკიცებს ასოციაციის ემბლემასა და სხვა სიმბოლოებს;
6.15.10 აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს ასოციაციის საშტატო განრიგს;
6.15.11 განსაზღვრავს ასოციაციის წევრთა შენატანების ოდენობას;
6.15.12 ახორციელებს ასოციაციის რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას;
6.15.13 იღებს სხვა გადაწყვეტილებებს ასოციაციის საწესდებო მიზნების მისაღწევად.
6.16 გამგეობის რეგულარული სხდომები იმართება ყოველკვარტალურად, არა უგვიანეს კალენდარული კვარტლის დამთავრებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. სხდომები მოიწვევა გამგეობის თავმჯდომარის მიერ.
6.17 რიგგარეშე სხდომა მოიწვევა გამგეობის თავმჯდომარის ინიციატივით. რიგგარეშე სხდომა ასევე შეიძლება მოწვეულ იქნეს გამგეობის წევრთა რაოდენობის ნახევარზე მეტის წერილობითი მოთხოვნით.
6.18 გამგეობა გადაწყვეტილებაუნარიანია თუ სხდომას ესწრება გამგეობის წევრთა უმრავლესობა.
6.19 გადაწყვეტილება გამგეობის სხდომაზე მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფისას გამგეობის თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.
6.20 გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილება გრძელდება დადგენილი ვადის გასვლის შემდეგაც, ახალი გამგეობის თავმჯდომარის არჩევამდე.
6.21 გამგეობის მიერ ჩატარებული თითოეული სხდომის შემდეგ დგება ოქმი, რომელზედაც აუცილებელია სხდომის თავმჯდომარის და სხდომის მდივნის ხელისმოწერა.
6.22 სხდომის მდივანი აირჩევა გამგეობის მიერ, გამგეობის წევრთა რიგებიდან ხმათა უმრავლესობით, სხდომის მიმდინარეობის შესახებ სათანადო დოკუმენტაციის შესადგენად.
6.23 გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება დადგენილი ვადის გასვლის შემდეგაც, ახალი გამგეობის არჩევამდე.

მუხლი 7
გამგეობის თავმჯდომარე

7.1 გამგეობის თავმჯდომარე აირჩევა გამგეობის მიერ, გამგეობის წევრთა რიგებიდან, ხმათა უმრავლესობით, 4 წლის ვადით. გამგეობის თავმჯდომარე შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ იქნას არჩეული. გამგეობის

თავმჯდომარე ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას. იგი იწვევს გამგეობის სხდომებს და თავმჯდომარეობს მათ. იწვევს და თავმჯდომარეობს წევრთა საერთო კრებას, გარდა ამ წესდების 6.11 მუხლში აღნიშნული შემთხვევისა; ასოციაციის სახელით დებს გარიგებებს, აფორმებს შრომით ხელშეკრულებას. გამგეობის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, გამგეობის წევრთა რიგებიდან ნიშნავს გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის დროებით შემსრულებელს, რათა უზრუნველყოფილ იქნას გამგეობის ნორმალური ფუნქციონირება.

7.2 გამგეობის თავმჯდომარე ახორციელებს ასოციაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე. იგი ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ, მათ შორის საფინანსო დოკუმენტებს, გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს, რომლებიც სავალდებულოა ასოციაციის ყველა თანამშრომელისა და წევრისათვის. გამგეობის თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს ასოციაციის სტრუქტურული და ფუნქციური ერთეულების საქმიანობას.

7.3 გამგეობის თავმჯდომარე წარმოადგენს ასოციაციის ინტერესებს ნებისმიერი იურიდიული თუ ფიზიკური პირის წინაშე. იგი ორგანიზებას უწევს ასოციაციის წევრთა საერთო კრებისა და გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას და წყვეტს ასოციაციის საქმიანობიდან გამომდინარე სხვა საკითხებს.

7.4 გამგეობის თავმჯდომარე წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში. მოქმედებს ერთპიროვნულად და მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირთან ურთიერთობაში არ არის შეზღუდული.

7.5 გამგეობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია იმაზე, რომ ასოციაციის საბუღალტრო საქმეები და აღრიცხვა წარმოებდეს საქართველოში მოქმედი საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების კანონმდებლობის შესაბამისად. იგი ვალდებულია ათი წლის განმავლობაში შეინახოს ასოციაციის საქმიანობაზე კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი.

7.6 გამგეობის თავმჯდომარე ასევე უფლებამოსილია:

7.6.1 თავისი ბრძანების საფუძველზე, დააფუძნოს ასოციაციის სტრუქტურული და ფუნქციური ქვედანაყოფები;

7.6.2 დანიშნოს და გაათავისუფლოს თანამდებობის პირები;

7.6.3 დადოს გარიგებები, გასცეს მინდობილობები;

7.6.4 გახსნას ანგარიშები;

7.6.5 გადაწყვიტოს კანონმდებლობით და ასოციაციის წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

7.7 გამგეობის თავმჯდომარე უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით.

7.7 გამგეობის თავმჯდომარე არყოფნის შემთხვევაში ნიშნავს თავის შემცვლელ პირს, რის შესახებაც წერილობით აცნობებს გამგეობას.

7.8 გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში თავმჯდომარე აირჩევა 6.6 პუნქტის 6.6.4 ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით. 6.14 პუნქტში მითითებული პირი არ განიხილება გამგეობის თავმჯდომარის კანდიდატურად, თუმცა გააჩნია ხმის უფლება.

მუხლი 8

ასოციაციის ქონება, სამეურნეო საქმიანობა და პასუხისმგებლობა

8.1 ასოციაციას უფლება აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარმართოს სამეწარმეო და სამეურნეო საქმიანობა.
8.2 ასოციაციის ქონებას შეადგენს წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის საჭირო ძირითადი ფონდები, საბრუნავი სახსრები და სხვა ფასეულობანი, რომლებიც ასახულია ასოციაციის დამოუკიდებელ ბალანსში.
8.3 ასოციაციის ფინანსური სახსრების წარმოქმნის წყაროებია:
8.3.1 საწევრო შენატანები, გრანტები, ნებაყოფლობითი საქველმოქმედო შენატანები და შემოწირულობანი;
8.3.2 ასოციაციის მიერ მიზნობრივი პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები;
8.3.3 ასოციაციის მონაწილეობით ან ასოციაციის მიერ შექმნილი საწარმოების მიერ მიღებული შემოსავლები;
8.3.4 სხვა წყაროები, რომლებიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.
8.4 ასოციაციის შეუძლია საკუთრებაში იქონიოს ქონება, რომელიც საჭიროა წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად.
8.5 ასოციაციის სამეწარმეო და სამეურნეო საქმიანობით მიღებული მოგება ასოციაციის წევრთა შორის არ განაწილდება და იგი გამოიყენება მხოლოდ ასოციაციის საწესდებო მიზნების მისაღწევად.
8.6 ასოციაცია პასუხს აგებს იმ ზიანისთვის, რომელიც მიადგათ მესამე პირებს, გამგეობის წევრების ან სხვა წარმომადგენლების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ისეთი მოქმედების შედეგად, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.
8.7 გამგეობის თავმჯდომარე საქმეს კეთილსინდისიერად უნდა უძღვებოდეს. თუ იგი არ შეასრულებს ამ მოვალეობას ასოციაციის წინაშე, პასუხს აგებს წარმოშობილი ზიანისთვის. უარის თქმა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე ბათილია, თუკი იგი აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 9
ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

9.1 ასოციაციის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.2 ასოციაციის საქმიანობა წყდება ასოციაციის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, გადაწყვეტილებ მიიღება ღია კენჭისყრით, ხმათა ორი მესამედით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.
9.3 ასოციაციის საქმიანობა წყდება მისი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის გზით.
9.4 ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილნი არიან:
9.4.1 ასოციაციის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები;
9.4.2 მსგავსი მიზნებისა და საქმიანობის მქონე არასამეწარმეო იურიდიული პირები.
9.5 ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 10
სხვა დებულებანი

10.1 წინამდებარე წესდება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
10.2 თუ წინამდებარე წესდების რომელიმე დებულებამ ძალა დაკარგა, ეს არ ვრცელდება ამ წესდების სხვა დებულებებზე.
10.3 წესდების მუხლებს წანამძღვრებული აქვს სათაურები წესდების ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები მხედველობაში არ მიიღება ამ წესდების რომელიმე დებულების განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტავად.
10.4 წესდება შედგენილია ექვს თანასწორუფლებიან ეგზემპლარად.